„მასწავლებლების შეხედულებები ენობრივი (ენის) განვითარების დარღვევის (Developmental Language Disorder-DLD) მქონე ბავშვების შესახებ”.

მაკა ბუბუნაური

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად.

პროგრამა: კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ცინცაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მაკა ბუბუნაური

თარიღი: 14 ივნისი 2023 წელი

აბსტრაქტი

DLD ნეიროგანვითარების მდგომარეობაა, რომელიც გამოიხატება მშობლიურ ენაზე მეტყველებისა და გაგების სირთულეში. დარღვევის გამომწვევი მიზეზი უცნობია. DLD ადრე ცნობილი იყო როგორც ენის განვითარების სპეციფიკური სირთულე (Specific language impairment).

განვითარების ენობრივი დარღვევა (DLD) შეფასებულია, რომ გავლენას ახდენს მოსახლეობის დაახლოებით 7%-ზე, რაც დაახლოებით ორ მოსწავლეს შეადგენს ყოველ 30 კლასში (Norbury et al., 2016).

DLD ისეთივე გავრცელებული მდგომარეობაა, როგორიცაა ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი (ADHD) და ბევრად უფრო გავრცელებული ვიდრე აუტისტური სპექტრი (ASD), თუმცა მასწავლებლებმა შეიძლება არ იცოდნენ საკმარისი DLD-ის მახასიათებლებისა და ზემოქმედების შესახებ, რომ წარმატებით ჩართონ ეს მოსწავლეები სწავლა-სწავლების პროცესში.

DLD არის კომპლექსური და შეიძლება გამოვლენილი იყოს ისეთი დახვეწილი გზებით, რაც, მისი მახასიათებლებისა და საგანმანათლებლო ზემოქმედების საკმარისი ცოდნის გარეშე, გაართულებს სხვა საერთო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისგან გარჩევასა და საგაკვეთილო პროცესში წარმატებით ჩართვას.

კვლევის მიზანია განსაზღვროს მასწავლებლის ცოდნის სიღრმე DLD-ის შესახებ და იკვლიოს მათი შეხედულებები დაღვევის მქონე მოსწავლეთა შესახებ.

XXI საუკუნეში, როდესაც განათლებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება და ინკლუზიური განათლების საკითხები პრიორიტეტული თემებია, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლებმა შეძლონ ენობრივი განვითარების დარღვევის მქონე ბავშვების საჭიროებების გაგება და დაკმაყოფილება. წინამდებარე კვლევა საქართველოში პირველად იკვლევს ქართული სკოლების პედაგოგთა შეხედულებებს დლდ_ის შესახებ ონლაინ გამოკითხვის საშუალებით.

შედეგების მიხედვით, მონაწილეთა უმეტესობა არ იცნობდა ტერმინს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ DLD_ის მქონე მოსწავლეებს აქვთ დამატებითი სირთულეები, როგორც სინტაქსის, მორფოლოგიის, ლექსიკური მარაგისა და პრაგმატიკის თვალსაზრისით, ასევე სირთულეები ვლინდება სხვებთან ურთიერთობებში, ქცევითი და ემოციური კუთხით.

დლდ_ის მქონე მოსწავლებთან მუშაობისას პედაგოგები გამოწვევად სპეციალისტებთან თანამშრომლობას ასახელებენ.

მასწავლებლები აცნობიერებენ საკუთარ შეზღუდვებს და აღნიშნავენ, რომ მათთვის რთულია DLD-ის მქონე მოსწავლის იდენტიფიცირება და მხარდაჭერა და გამოთქვეს სურვილი სპეციალისტებთან თანამშრომლობისა.

ძირითადი საძიებო სიტყვები:

ენობრივი (ენის) განვითარების დარღვევა (DLD)

მასწავლებლების შეხედულებები/ საჭიროებები

მასწავლებლების ინფორმირება

საგაკვეთილო სივრცე

DLD_ის მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაცია

DLD_ის მქონე მოსწავლეთა მხარდაჭერა

Abstract

Developmental Language Disorder (DLD) is a neurodevelopmental condition characterized by difficulties in speaking and understanding the native language. The exact cause of this disorder is unknown. DLD was previously referred to as Specific Language Impairment (SLI). It is estimated that DLD affects approximately 7% of the population, with two students in every classroom (out of 30 students) being affected (Norbury et al., 2016). DLD is as common as Attention Deficit Hyperactivity Disorder (ADHD) and more prevalent than Autism Spectrum Disorder (ASD). However, teachers may lack sufficient knowledge about the characteristics and effects of DLD, hindering their ability to effectively engage these students in the teaching and learning process. Due to the complexity of DLD and its subtle manifestations, it can be challenging to distinguish it from other common disabilities without adequate knowledge of its characteristics and educational impact. The purpose of this research is to assess the depth of teachers' knowledge about DLD and explore their perspectives on students with learning disabilities.

In the 21st century, education is of paramount importance, and inclusive education is a priority. It is crucial for teachers to understand children with language development disruptions. This research is the first study in Georgia that investigates Georgian teachers' views on DLD through online research. Most teachers are unfamiliar with this term. They report difficulties in syntax, morphology, vocabulary, pragmatics, as well as in building relationships and managing behavior and emotions. The biggest challenge for teachers when working with children who have DLD is collaborating with specialists. Teachers acknowledge their weaknesses and express difficulty in recognizing and supporting DLD children. They desire collaboration with specialists.